საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სერტიფიცირების გამოცდის შედეგები

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სერტიფიცირების გამოცდები დასრულდა.

მოქალაქეებს 8 მუნიციპალიტეტში გახსნილი საგამოცდო ცენტრები მოემსახურა. გამოცდის ჩაბარების მსურველებს საშუალება ჰქონდათ აერჩიათ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში მოქმედი საგამოცდო ცენტრი: თელავი, ბოლნისი, მარნეული, გარდაბანი, თეთრიწყარო, ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა.

ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის მიზნებისთვის, სწავლების ცენტრმა უზრუნველყო საგამოცდო ტესტების თარგმნა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის გასაგებ ენებზე. გამოცდა ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანულ ენებზე ჩატარდა.

გამოცდაზე ჯამურად რეგისტრირებული 436 მოქალაქიდან საგამოცდო ცენტრებში 321 გამოსაცდელი გამოცხადდა. გამოცდის ჩაბარების შედეგების მიხედვით საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სერტიფიკატი 319-მა პირმა მიიღო (ქალი-191; კაცი-128). საგამოცდო ცენტრების მიხედვით დამუშავებული დეტალური სტატისტიკა ხელმისაწვდომია ბმულზე.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სერტიფიცირების გამოცდები, მიმდინარე წლის 28 ივნისიდან პერიოდში, სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან თანამშრომლობით განახორციელა.

2024 წლის 28 ივნისიდან 2 ივლისის პერიოდში გამართული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სერტიფიცირების გამოცდის დეტალური სტატისტიკა

N	საგამოცდო ცენტრის დასახელება	გამოცდაზე დარეგისტრირებულ პირთა რაოდენობა	გამოცდაზე გამოცხადებულ პირთა რაოდენობა	პირთა რაოდენობა, ვინც გამოცდა წარმატებით ჩააბარა
1	თელავის საგამოცდო ცენტრი	23	23	23
2	ბოლნისის საგამოცდო ცენტრი	7	4	4
3	მარნეულის საგამოცდო ცენტრი	46	25	25
4	გარდაბნის საგამოცდო ცენტრი	37	28	28
5	თეთრიწყაროს საგამოცდო ცენტრი	8	7	7
6	ახალციხის საგამოცდო ცენტრი	39	29	29
7	ახალქალაქის საგამოცდო ცენტრი	97	71	70
8	ნინოწმინდის საგამოცდო ცენტრი	179	134	133